

საწარმოს ეკონომიკური უსაზრთოვნება და კონსალტინგი

ზურაბ ჯორბენაძე,
ეკონომიკის დოქტორი, სტუ პროფესორი

რევაზ შენგელია
ეკონომიკის დოქტორი, სტუ ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე საწარმოს საქმიანობის დინამიური და მუდმივად მმართველი პროცესი ყოველთვის მოითხოვს სტრატეგიულ-ტაქტიკური და მიმდინარე ხასიათის რჩევა-რეკომენდაციას. საწარმოს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ყოველთვის სჭირდება აქ არსებული საწარმოო-ორგანიზაციული, სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ. სახის სიტუაციის რეალურად შეფასება და პერსპექტივის განსჭვრეტა. აღნიშნულის მართებულად წარმართვა კი საწარმოს წარმატებითი მენეჯმენტის წინაპირობას წარმოადგენს; მაგრამ სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევისათვის ასევე მნიშვნელოვანია სწრაფი რეაგირება, და კონკრეტულ შემთხვევაში ერთადერთი მართებული ვარიანტის ამორჩევა. ყოველივე ეს გარემოებები კი საბოლოო ჯამში ბიზნესის წარმატების წინაპირობას აყალიბებს.

საწარმოს მართვის ხელოვნება არ არის მარტივი; წარმატებითი და ეფექტური ბიზნესის მიღწევა საკმაოდ რთული პროცესია. ამ ფაქტის აძლიერებს თუნდაც ის გარემოება, რომ საწარმოს მენეჯერი (მენეჯერები) ვერ ფლობს აუცილებელ კვალიფიკაციას, ამასთან, ის (ისინი) სიახლის გვერდით აშკარად ვერ გრძნობენ საკითხის სირთულეს; ამ შემთხვევაში მათთვის საჭირო ხდება საწარმოში ჩამოყალიბებული და მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური სიტუაციის, სტაბილური განვითარების მდგომარეობის და სტრატეგიული განვითარების ტენდენციის განჭვრეტა.

აღნიშნულ სიტუაციაში სრულად გარკვევა და შესაბამისი ქმედების განხორციელება წარმოუდგენელია მოხდეს საწარმოში არსებული სხვადასხვა სახის ფაქტორის შეცნობის, გაანალიზების და შესაბამისი რეკომენდაციის ჩამოყალიბების გარეშე. მთლიანობაში ეს პროცესი მოიცავს საწარმოს როგორც უშუალოდ წარმოებითი ისე არასაწარმოო ხასიათის ფაქტორების მოქმედების დაჯგუფება-სისტემატიზა-

ციას, აქ არსებული პოზიტიურ და ნეგატიურ სიტუაციათა გათვალისწინებით კონკრეტული სახის მმართველობითი ხასიათის აუცილებელი რეკომენდაციების მოძიება-დამუშავების, საჭიროების შემთხვევაში, კი შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, მთელ არსენალს.

აღნიშნულ საკითხთა მთელი არეალი საბოლოო ჯამში მიმართულია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისა და უზრუნველყოფის მიმართულებისაკენ. ამ დროს საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი გამოდის მოქმედების ტრადიციული ჩარჩოდან: საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება თავისი შინაარსობრივი დატვირთვით მთლიანად და უშუალოდ კონსალტინგის სფეროში ექცევა — იგი კონსალტინგურ სიბრტყეზე განიცდის სრულ რეალიზაციას.

რა არის კონსალტინგი? რა დამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან კონსალტინგს და საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას?

არც თუ ისე შორეულ წარსულში კონსალტინგს განიხილავდნენ როგორც საწარმოთა და მეწარმეების მიმართ ეკონომიკურ, საფინანსო, კომერციულ, სამართლებრივ და სხვ. სფეროში კონსულტაციის გაწევის მიზნით სპეციალიზებულ სამუშაოს. დღეს კი კონსალტინგის ცნების ქვეშ გულისხმობენ ინტელექტუალური მომსახურების ისეთ სახეს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საწარმოს მართვისა და ორგანიზაციული განვითარების რთული პრობლემების გადაწყვეტასთან. ამრიგად, კონსალტინგი ერთი მხრივ ესაა კონსულტაციური და პრაქტიკული მომსახურების ფართო კომპლექსი, ხოლო, მეორეს მხრივ კი ის არის ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის მომსახურება.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე კონსალტინგმა დამატებით ახალი მიმართულება შეიძინა; კონსალტინგის არეალში მოექცა საწარმოს უსაფრთხოების საკითხი; იგი თანამედროვე კონსალტინგის ახალი და პერსპექტიული მიმართულება გახდა. დღეს კონსალტინგური მომსახურების არეალში მოექცა სხვადასხვა პროფილის საწარმოთა ინფორმაციული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, მენეჯმენტის და თვით საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები.

აღნიშნულმა გარემოებამ თანდათანობით, მაგრამ მყარად და სერიოზულად მოიკიდა ფეხი პოსტსაბჭოურ სივრცეში; დღეს უკვე ფაქტია, რომ კონსალტინგის მნიშვნელობას კომუნიტური რეჟიმიდან განთავისუფლებული ეკონომიკა შინაგანად აღიარებს და გარკვეული ზომით მოითხოვს კიდევ. დღეს თვალნათლივი გახდა ის ფაქტი, რომ ეკონომიკაში არსებული რთული და სწრაფად ცვლადი სიტუაციის

კვალობაზე წარმოების მართვის არსებული მეთოდები, ან საწარმოს მუშაობის გაძღოლის დამკვიდრებული ხერხები, უკვე მიუღებელი არის; ეკონომიკაში დინამიურად მიმდინარე პროცესები ადექვატურ რეაქციას მოითხოვს.

კონსალტინგის შინაარსობრივი და ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე საწარმოს ყოფითი რეალობაში, შესაბამისი არეალის ზედაპირზე, იგი განასახიერებს კონსულტირებას და ფაქტიურად მას ნიშნავს. ამიტომაც, თანამედროვე მოთხოვნის გათვალისწინებით კონსალტინგში გაერთიანებულია (ან გაერთიანებული უნდა იყოს) მეცნიერების და ხელოვნების მომენტების ბაზაზე დაფუძნებული კონსულტირების ერთიანი პროცესი; სხვაგვარად, კონსალტინგის კატეგორია თავის შინაარსს დაკარგავს, კონსულტანცია კონსულტანციისათვის იქნება და მეტი სხვა არაფერი.

კონსალტინგში, შესაბამისად კონსალტინგურ მომსახურებაში, მეცნიერული მიღწევების გამოყენებით რეალიზდება მომსახურების მაღალი დონე და კომპეტენტურობა. ამ შემთხვევაში იგი უშუალოდ ეყრდნობა საკითხის შესწავლა-ანალიზის სისტემურ ანალიზს და გადაწყვეტილების მიღების მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებს და ა.შ. ამასთან კონსალტინგის პროცესში მეცნიერული საწყისის გვერდით არსებობს და მასთან გაერთიანებულია ხელოვნების მომენტიც; ამდენად, კონსულტანცია იგი გარკვეულ წილად ხელოვნებაც არის. მისი, როგორც ხელოვნების სახე, ნათლად ჩნდება იმ მომენტიდან, როცა მაქსიმალური შედეგის ან ეფექტის მიღების მიზნით არსებული პრობლემების გადანაცვებისას, საჭირო ინფორმაციის მოძიების პროცესში, ან ინფორმაციის მიღება-დამუშავებისას, არასტანდარტული ორიგინალური გადაწყვეტილების მოძიების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა ხდება. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომას, და არატრადიციულ, არადაშტამპულ დასკვნებს. ამიტომაც სავსებით სამართლიანია ის აზრი არის, რომ კონსალტინგური მომსახურება ადექვატური დატვირთვის და შესაბამისი ხარისხის იქ და იმ შემთხვევაში, როცა ერთმანეთთან შეჯერებული არის მეცნიერება და ხელოვნება; ამიტომაც კანონზომიერი არის მოთხოვნა, რომ კონსულტანციამ, ანუ კოლსანტინგურმა მომსახურებამ, სრულად უნდა მოიცვას ეკონომიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვ. მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევები და შემოქმედებითად გამოიყენოს საწარმოს მიმართ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კონსალტინგი არის სანარმოთა ხელმძღვანელებისა და მმართველობითი პერსონალისადმი რეკომენდაციების...და ერთობლივად გამო-მუშავებული გადაწყვეტილებების ფორმით განეული პროფესიული დახმარება, ხელის შეწყობა.

სანარმოს სამეურნეო-სანარმოო პრაქტიკაში დღეს არსებული რე-ალობის და კონსალტინგის შინაარსიდან გამომდინარე ანსხვავებენ კონსულტაციის ძირითად სამ სახეს:

1. საექსპერტო სახის კონსულტაცია. ამ დროს კონსულტანტების მიერ ხდება საკითხის (პრობლემის) დიაგნოსტიკა, შესაბამისი სახის გადაწყვეტილებების შემუშავება; ამ დროს ისინი აყალიბებენ შემუშა-ვებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებებს.

2. პროცესუალური სახის კონსულტაცია. ამ დროს კონსულტანტი მუდმივ კავშირში არის დამკვეთთან, ახდენს მისი იდეების და წინა-დადებების შეფასებას, და მათთან ერთად პროცესუალური ფორმით ახდენენ პრობლემის სრულ ანალიზს და ამზადებენ შესაბამის გადაწყ-ვეტილებას. ამ დროს, დამკვეთთან ერთობლივი მუშაობით კონსულ-ტანტი აკუმულირებას უკეთებს იდეებს, აფასებს გადაწყვეტილებებს, მოჰყავთ ისინი ერთიან სისტემაში და ამზადებენ რეკომენდაციებს.

3. სასწავლო-შემეცნებითი სახის კონსულტაცია. კონსულტაციის ეს სახე შედარებით “მოკრძალებული” შინაარსის არის; აქ დამკვეთს ლექციის, სემინარის, რჩევა-რეკომენდაციის სახით მიენოდება შესა-ბამისი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ინფორმაცია; ამ მიზნით კონსულტანტი არა მარტო აგროვებს პირველადი შინაარსის ფაქტებს, ან აანალიზებს მითებულ გადაწყვეტილებებს, არამედ ასევე ამზადებს მათი გადაწყვეტის საფუძვლებს და ა.შ.

ზოგადად, სანარმოს მიმართ კონსულტაციის განხორციელების სახეებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს; სანარმოში სავსებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კონსულტაციის სამივე სახეს სხვა-დასხვა თანაფარდობით მდგომარეობას, ერთდროულად სახეზე იყოს ჰქონდეს როგორც სანარმო-პრაქტიკული ხასიათის პროცესუალუ-რი სახის კონსულტაცია და სასწავლო-შემეცნებითი კონსულტაცია.

სამეურნეო პრაქტიკაში კონსულტაციის პროცესის ჩატარების შინაარსიდან და მოქმედების არეალიდან გამომდინარე ანსხვავებენ სანარმოს შიდა და გარე კონსულტანტებს. სანარმოს შიდა კონსულ-ტანტი არის ის პირი (სპეციალისტი), რომელიც შრომითი ხელშეკრუ-

ლებით დასაქმებულია ორგანიზაციაში რაიმე საშტატო განაკვეთზე; გარე კონსულტანტი კი არის პირი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის საწარმოსთან საშტატო დასაქმებით და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას.

პრაქტიკაში არსებული და მოქმედი კონსულტანტის ამგვარი ნაირსახეობა და მათი ფუნქციონალურ-სამსახურეობრივი მდგომარეობა სრულად განსაზღვრავს საწარმოს შიდა კონსულტანტის ადგილს სწორედ საწარმოს ორგანიზაციულ-სამსახურეობრივ სტრუქტურაში; იგი მოწოდებულია იყოს საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი ძალა და ეს კიდევაც უნდა შეასრულოს; ამდენად, საწარმოს შიდა კონსულტანტის მუშაობის შინაარსობრივი დატვირთვა, მისი მუშაობის არეალი და ბოლოს სამსახურეობრივი მდგომარეობა გარკვეულად ემსგავსება საწარმოს მენეჯერს, მაგრამ ამასთან იგი საკმაოდ განსხვავებული მდგომარეობის და დატვირთვის მქონე სამსახურის წარმომადგენელი არის და პოზიციურად სხვა მდგომარეობა უჭირავს; აქ ამ მიმართებით შესაძლებელია გამოვყოთ მენეჯერთან შედარებით კონსულტანტის მთელი რიგი უპირატესობანი: მაგალითად, თავის სფეროში კონსულტანტი არის დამოუკიდებელი და იგი წინასწარგამიზნულად არ მოქმედებს; კონსულტანტს წესით გააჩნია (ან უნდა გააჩნდეს) ფართო და საფუძვლიანი განათლება, შესაბამისი დონის მსოფლმხედველობაც, და ბოლოს, შეიძლება ითქვას ინტიუციურობაც კი; კონსულტანტი თავის მუშაობაში ძირითადად ორიენტირებულია სხვა ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლაზე და გამოყენებაზე, მაშინ როცა საწარმოს მენეჯერი საწარმოს ფარგლებს გარეთ არც იხედება, და ბოლოსდაბოლოს, მას ამის ინტერესი არც კი გააჩნია.

კონსულტანტების მუშაობის ძირითადი არეალი საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის ფარგლებში, “ჩარჩოში” არის მისაღები და შედეგიანი; აქ მათი მუშაობის ძირითადი მიზანი არის საწარმოში არსებული სხვადასხვა სახის ტექნიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივ-ეკონომიკური და სხვ. ანალოგიური სახის საკითხების (პრობლემების) გადანყვეტის მეთოდოლოგიის შეთავაზება, საჭიროების შემთხვევაში კი ამ საკითხთა გადანყვეტის კონკრეტული გზების მოძიება და ა.შ.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის კონსულტანტის (კონსულტანტების) მიერ შემუ-

შავებული კვალიფიციური და სრულყოფილი რეკომენდაცია საწარმოს საქმიანობის წარმატების მიღწევის გარკვეულ სახის წინაპირობას წარმოადგენს. ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროს კონსულტანტი თავისი ფუნქციონალური დატვირთვით კი ბიზნესის საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა არის. აღნიშნული როლის შესრულება კონსულტანტს იმ შემთხვევაში შეუძლია, როცა მისი სამუშაო აქცენტირებული იქნება საწარმოში, ორგანიზაციაში დღეს არსებული და მომავალში მოსალოდნელი ამა თუ იმ სახის პრობლემის (საკითხის) გამოვლენაზე, ამ პრობლემის დიაგნოსტიკაზე, პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიებაზე, შესაბამისი რანგის გადაწყვეტილებების შემუშავებაზე და ა.შ.

აღნიშნულის ფონზე თვალშისაცემი არის საკითხთა წრე, რომლის მიმართ გამოიკვეთება საწარმოს კონსულტანტის სამოქმედო არეალი; სწორედ მის მიერ ჩატარებული კონსალტინგური მომსახურება მიიჩნევა მიზანმიმართულად, და არა სიზიფის შრომად.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისა და უზრუნველყოფის გადასახედიდან მართებულად ორგანიზებული და წარმართული კონსულტანტის მიერ გაწეული შრომა ამართლებს მათ მიზანდასახულობას, ხოლო მიღებული შედეგი კი საბოლოო ჯამში საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარკვეულ გარანტიად გამოდის; სხვაგვარად წარმოუდგენელია, როცა საქმე ეხება სერიოზული მასშტაბების მქონე საწარმოს, ორგანიზაციას სადაც აქტივების მოცულობა მილიონობით ლარს, ან უცხოურ ვალუტას აღწევს, და სადაც დასაქმებულია ათასობით ადამიანი და ა.შ. კერძოდ, კონსულტანტის, ან, კონსულტანტთა ჯგუფის, მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კონსალტინგური პროექტები შესაძლებელს ხდის შესუსტებული იქნეს საწარმოს ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების ძალა და მოქმედება, ხოლო შესაბამისი პირობების არსებობისას კი ხელს უწყობს ამგვარი ფაქტორების საერთოდ აღმოიფხვრას.

აღნიშნულის გვერდით საწარმოს სამეურნეო-საწარმოო პრაქტიკაში ასევე არსებობს, და არც თუ იშვიათად გვხვდება, მეორე, არანაკლებ საყურადღებო გარემოება: ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის კონსულტანტების მუშაობა იმ შემთხვევაში არის ეფექტური და შედეგის მომცემი, როცა მათ მიერ დამუშავებული და პრაქტიკისათვის მისაღები კონსალტინგური პროექტი (რეკომენდაცია, რჩევა, დასკვნა, მითითება და სხვ.) რეალიზებული და განხორციელებული

იქნება. სხვა შემთხვევაში, ზერელედ, დაუსაბუთებლად უგულვებელყოფილი პროექტი, ან როგორც ამბობენ, “მუთაქის ქვეშ” არის ამოღებული, თაროზე შენახულია და არაფრის მომცემია.

ამიტომაც არის, რომ სანარმოს კონსალტინგური სამსახურის გამართული და მიზანმიმართული მუშაობის შემთხვევაში, ამ მუშაობის შედეგის პრაქტიკული რეალიზაციისას, წარმატებული კონსალტინგური მომსახურება ბუნებრივია, რომ სანარმოს საფინანსო-ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური შედეგებთან მიმართებაში უმრავლეს შემთხვევაში საკმაოდ სოლიდური ეფექტს იძლევა.

სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის შინაგან სტრუქტურაში საკონსალტინგო სამუშაოს ერთ-ერთ რეალურ მიმართულებას წარმოადგენს ექსპერტიზის დონეზე სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების, ბრძანებების, წერილების, მიმართებების და სხვ. მსგავსი საკითხების მიმართ კომპეტენტური დასკვნების, რეკომენდაციების და რჩევების მომზადება და ხელმძღვანელობის დროულად გაცნობა. აქ, ამ შემთხვევაში თვალნათლივი ხდება ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის კონსულტანტის შრომის ღირებულება და ფასი; ეს მომენტი განსაკუთრებით ხელშესახებია, როცა საკითხი ეხება ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის ყოველდღიური მუშაობის პროცესში წარმოშობილ და არსებულ სამსახურეობრივ ვალდებულებების და პასუხისმგებლობის შესრულებას. მაგალითისათვის შესაძლებელია განვიხილოთ ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში აუცილებლად განსახილველ და ისეთ საჭირო მიმართულებას, როგორიც არის სანარმოთა შორის, ან თუნდაც სანარმოს შიგნით უცილობლად საჭირო ხელშეკრულებების განხილვა-გაანალიზების საკითხს.

თანამედროვე სანარმო უმრავლეს შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობებს ემყარება. ამა თუ იმ სახის სამეურნეო-სანარმოო ხასიათის საკითხის გადაწყვეტის პროცესში ხელშეკრულება არსებითი და მნიშვნელოვანია. თავისი დანიშნულებით ხელშეკრულება მისი გარე ისე შიდა სამეწარმეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად ბაზას წარმოადგენს; სანარმოს სანარმოო-სამეურნეო საქმიანობის მთლიანი არეალიდან და მოცულობიდან გამომდინარე ყალიბდება სახელშეკრულებო პოლიტიკა. სახელშეკრულებო პოლიტიკა თავისი შინაარსობრივი დატვირთვით არის პირის მიერ ხელშეკრულების ტიპის, პარტნიორის, ხელშეკრულების პირობების შერჩევა კონსესუსის სა-

ფუძველზე, დასახული ფინანსური შედეგების ან სასურველი სტრუქტურის აქტივების მიღების მიზნით.

დღეს საწარმოთა უმრავლესობაში ჩამოყალიბებული არის და მოქმედებს შესაბამისი სახელშეკრულებო პოლიტიკა. ორგანიზებული და გამართული სახელშეკრულებო პოლიტიკა საწარმოს ინტერესების და უფლება-მოვალეობების განსაზღვრის და დაცვის რეალური გზა არის. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ თანამედროვე დონის გამართული და სრულყოფილი სახელშეკრულებო პოლიტიკა საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში არსებითი მნიშვნელობის არის.

აღნიშნული გარემოება დღეს ძალზე აქტუალური არის; მით უფრო, როცა საკითხი ეხება საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოებას. ამიტომაც საკითხის შემდგომი გარკვევის აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს: საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით სახელშეკრულებო პოლიტიკის რეალიზაცია გულისხმობს ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების მიმართ სამართლებრივ-ეკონომიკური ექსპერტიზის ჩატარებას; ამ შემთხვევაში საკითხი შინაარსობრივად მოიცავს საწარმოს განკარგულებაში არსებული კორპორაციული რესურსების ეფექტური გამოყენების პროცესის ოპტიმიზაციას.

საერთოდ, ხელშეკრულების სამართლებრივ-ეკონომიკური შეფასების პროცესის (ექსპერტიზის) განხორციელება, კონკრეტულად გულისხმობს ქვემოთმოყვანილი შემდეგი სახის სამუშაოთა მთელ ნაყებას, რომელებიც თავის მხრივ კი მრავალი სახის ქვედადინებების გაანალიზებას გულისხმობს. აღნიშნული სახის და შესაბამისი დატვირთვის საკითხების სახეებია:

სამოქალაქო ექსპერტიზა — ხელშეკრულების ყველა პირობების შეფასება ქვეყანაში მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით;

საბუღალტრო-აუდიტორულ ექსპერტიზა — ხელშეკრულების დადების, რეალიზაციის და შედეგების ბუღალტრულ-აუდიტორული გაფორმების შესაძლო ვარიანტები;

საგადასახადო ექსპერტიზა — ხელშეკრულების განხილვა საგადასახადო ვალდებულებების და მოთხოვნების გათვალისწინებით, საგადასახადო პრევენციის შესაძლო რეალიზაციის მიზნით, მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ექსპერტიზა — ხელშეკრულების გაფორმების შედეგად საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების (ფინანსური დამოუკიდებლობის, რენტაბელობის, კრედიტუნარიანობის და სხვ.) მოსალოდნელი ცვლილების განსაზღვრა.

ამრიგად, საწარმოს სახელშეკრულებო ურთიერთობების ექსპერტიზა მთლიანობაში მართალია მეტ წილად კონსალტინგური მომსახურების სფეროში ხვდება და იგი თავის დანიშნულებას ამართლებს; მაგრამ საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის და საწარმოს სტაბილურობის დაცვის პრობლემის გადაწყვეტის პროცესში კონსალტინგის როლი აღნიშნულზე არ ჩერდება, მით უფრო როცა საკითხის აქტუურობა და მომცველობა საკმაოდ მნიშვნელოვანია და ზემოთაღნიშნულის გარეთ გამოდის.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისა და რეალიზაციის რთულ პროცესში კონსალტინგის როლს კიდევ უფრო წარმოაჩენს როგორც “წმინდა” ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ისე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დინამიურად და შედეგიანად გადაწყვეტა; ასე მაგალითად, კვების პროდუქტების თუ ალკოჰოლიანი სასმელების ან კიდევ ქიმიური მრეწველობის საწარმოსათვის კონსულტირებას არსებითი მნიშვნელობის დატვირთვა გააჩნია: საექსპერტო სახის კონსულტაცია უცილობლად მნიშვნელოვანია იმ საწარმოთათვის რომელთა საქმიანობა ძალზე სპეციფიკურია, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ლიცენზირებადი და ამა თუ იმ ბრენდის პატრონაჟის ქვეშ იწარმოება; აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა აქვს მაგალითად კოკა-კოლას, პეპსი-კოლას მწარმოებელი საწარმოთათვის, ან კიდევ ფარმაცეპტიული ტიპის საწარმოთათვის და ა.შ. ამიტომაც გადაჭრით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ ტიპის საწარმოთათვის საქმიანობის საექსპერტო სახის კონსულტაცია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზაზე გადის. ანალოგიური დატვირთვით და მიმართულებით მოქმედებს პროცესუალური სახის კონსულტაციაც, რომლის წარმატებით წარმართვა და განხორციელება კონსალტინგური მომსახურეობის არეალში ხვდება. ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო-შემეცნებითი კონსულტაციის აუცილებლობის მოთხოვნაც; ამ ტიპის კონსულტაციის მოთხოვნის აუცილებლობა გარვეული მოცემულობების და პირობების არსებობისას წარმოიშვება. კერძოდ, სასწავლო-შემეცნებითი სახის კონსულტაციას ადგილი აქვს იმ საწარმოთა მიმართ და იმ შემთხვევაში, სადაც რთული და საკმაოდ სპეციფიკური პროფე-

სიის ათვისება საკმაოდ შრომატევადია და მისი შეცნობის პროცესი დროის მიხედვით არც თუ ხანმოკლეა; აქ აუცილებელია პერიოდულად ჩატარდეს სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის მონიტორინგი, რის ფონზეც პროფესიონალური კონსულტირება არსებით მნიშვნელობას შეიძენს და საბოლოო ჯამში საწარმოს ეკონომიკურ სტაბილურობას მნიშვნელოვანად აძლიერებს. ამ სახის კონსულტაციას რეალური ფასი ადევს იმ სახის საწარმოთათვის სადაც საკმაოდ რთული ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესები მიმდინარეობს, სადაც ამა თუ იმ რანგის და მოცულობის კატასტროფის საშიშროება მუდმივად არსებობს და მარტივად რომ ვთქვათ საწარმოო პროცესის მიმდინარეობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული; ამ სახის კონსულტაციას ადგილი აქვს (ან უნდა ჰქონდეს) მაგალითად, ავიაციის რანგის საწარმოში ან თუნდაც ქიმიური ტიპის საწარმოში, ან კიდევ სამედიცინო საწარმოში პერიოდულად დგება ტრენინგების, სემინარების და კურსების წარმართვის უცილობლად განხორციელება.

ამრიგად, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოს კონსალტინგური მომსახურების დროული და წარმატებითი წარმართვა თვით ამ საწარმოს ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიაა.